



**შენიშვნები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ გრძელვადიანი ტყისარგებლობის ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილ ტყითსარგებლობის გეგმების პროექტებზე - თან დაკავშირებით**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის N672 ბრძანების „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის „გეგმის დამტკიცების პროცედურები“ მიხედვით, „გეგმის პროექტის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 დღემდე ვადაში დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან სამინისტროს წარუდგინონ გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შენიშვნები და წინადადებები არ მიიღება“. განსახილველი დოკუმენტები სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა 2008 წლის 20 იანვარს, თანმხლებ განცხადებაში კი ნათქვამი იყო, რომ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, რეკომენდაციები, შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 1 თებერვლამდე. ანუ, დაინტერესებულ საზოგადოებას მხოლოდ 9 სამუშაო დღე ჰქონდა ამ ვრცელი დოკუმენტების ანალიზის გასაკეთებლად. მიგვაჩნია, რომ ტყითსარგებლობის გეგმების ხარისხის ამაღლებისათვის, სამინისტროს უკეთ შეეძლო გამოეყენებინა საზოგადოებრივი განხილვის კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმი. მით უმეტეს, რომ სამინისტროს პირველად უწყევს ასეთი ანგარიშების შემოწმება და მათი ხარისხის შეფასება. ასევე უცნაურია, რომ შენიშვნების წარმოდგენის ბოლო დღე არის კვირა.

**საერთო ხასიათის შენიშვნები და წინადადებები:**

სასურველია, რომ 9 თებერვალს დანიშნულ განხილვამდე სატყეო დეპარტამენტმა საზოგადოებასთვის გააცნოს შემდეგი საჯარო ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გახდეს ლიცენზიების გაუქმების შესახებ საკითხის დასმის საფუძველი:

1. წარმოდგინეს თუ არა ლიცენზიანტმა ანგარიშები ლიცენზიის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და როდის?
2. უზრუნველყვეს თუ არა ლიცენზიანტმა ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერი და უკანონო ჭრის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ ტერიტორიის გადაბარება (მიღება-ჩაბარების აქტით) საკვარტალე სქემის მიხედვით და როდის?
3. ჩაატარეს თუ არა დეტალური ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და როდის? შეითანხმა თუ არა სატყეო დეპარტამენტმა ჩატარებული ტყეთმოწყობები და სწორად არის თუ არა ისინი ასახული წარმოდგენილ პროექტებში.
4. წარადგინეს თუ არა ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა? თუ ასეთი დასკვნები არსებობს, სამინისტრომ უნდა გააცნოს ისინი დაინტერესებულ საზოგადოებას
5. 2007 წლის 3 მაისიდან (ლიცენზიის გაცემიდან) დღემდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიებზე უკანონო ჭრებისა და ტყის ხანძრების შესახებ ინფორმაცია და ლიცენზიის მფლობელთა მიერ ამასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედები
6. ლიცენზიის მფლობელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ინფორმაცია

ზემოხსენებული ინფორმაციის გარეშე პროექტების განხილვა აზრს მოკლებულია.

**წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებული კერძო ხასიათის შენიშვნები:**

**1. შპს "საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიის" მიერ წარმოდგენილი კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ყვარლის სატყეო უბანზე ლიცენზიით (00624) გაცემული ტერიტორიის ტყითსარგებლობის პროექტი**

წამოდგენილი პროექტი არ პასუხობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის N672 ბრძანებით „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნებს.

პროექტში საერთოდ არ არის ბევრი ცხრილი, რომელიც სავალდებულოა წარსადგენად მინისტრის ზემოხსენებული ბრძანების მიხედვით. ზოგიერთი ცხრილის შინაარსი მეტ-ნაკლებად შეესაბამება მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას, მაგრამ მაინც არასრულია/არაზუსტია. (მაგ. დებულებით განსაზღვრული ცხრილი N8 „სატრანსპორტო გზების დახასიათება“; დებულებით განსაზღვრული ცხრილი N11 „საქართველოს “წითელი წიგნი“-თ და “წითელი ნუსხით” დაცული მცენარეები“ - რატომღაც დასკვნაშია მოთავსებული, ისიც არასრულყოფილად შევსებული. ძალიან სწორხაზოვნად არის გაგებული ამ ცხრილის გრაფის - „მოკლე დახასიათება“ შინაარსი. მაგ. უთხოვარის „მოკლე დახასიათება“ ასეა წარმოდგენილი - „ხე-მცენარე“. გეგმის შინაარსსა და ხარისხზე გავლენას არ იქონიებდა და უფრო მოკლედ შეიძლება - „ხე“). საერთოდ არ არის მოცემული ცხრილი №9 „ტყით სარგებლობის ობიექტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული კულტურულ - ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების ნუსხა“, ცხრილი N10 „მერქნული და არამერქნული მცენარეების სახეობები და მათი საარსებო გარემოს აღწერილობა“, ცხრილი N12 „საქართველოს “წითელი წიგნი“-თ და “წითელი ნუსხით” დაცული ცხოველები“ და ა.შ.

სუსტად არის წარმოდგენილი ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები. ჩამოთვლილია ტერიტორიაზე აღმოჩენილი მერქნიან მცენარეთა მავნებელ-ავადმყოფობები, მაგრამ არ არის მოცემული ზუსტი სურათი, თუ რა რაოდენობით ხეებია დაავადებული, რომელ სატყეო კვარტლებში, არ არის შესაბამისი თემატური რუკა. (დაავადებული ხე-მცენარეების რაოდენობა მოცემულია მხოლოდ წაბლთან მიმართებაში). საერთოდ არ არის დოკუმენტში, რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაცვისათვის, გარდა ერთისა - წაბლის ხეების მოჭრა, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. უფრო მეტიც, პირდაპირაა ნათქვამი, რომ მავნებლებთან ბრძოლის სათანადო ღონისძიებები შემდგომში უნდა დაისახოს. ამ ღონისძიებების დასახვისათვის ლიცენზიანტს საკმაოდ დრო ჰქონდა და სწორედ განსახილველ დოკუმენტში უნდა ყოფილიყო ასახული, კონკრეტულად რა გაკეთდება ამ კუთხით მომდევნო 10 წელიწადში.

პროექტში საერთოდ არაფერია ნათქვამი ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ (მინისტრის №672 ბრძანება, მუხლი 14). პროექტში მოცემული თავი „ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა“ უფრო სკოლის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს შესაბამება, ვიდრე დოკუმენტს, რომლითაც მომავალი 10 წლის განმავლობაში უნდა იმართოს ტერიტორია.

პროექტში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ აპირებს ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიით დამაგრებული ტერიტორიის დაცვას უკანონო ჭრებისაგან.

არ არის ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ (დემოგრაფიული ცნობები, მოთხოვნილება მერქანზე და ა.შ).

დოკუმენტს არ ახლავს რუკები (მინისტრის ბრძანება მოითხოვს დიგიტალური რუკის არსებობას).

დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ტყის ჭრა. ამ საკითხის შეფასება ჩვენს მიერ ამ ეტაპზე შეუძლებელია შემდეგი მიზეზების გამო: განსახილველად გამოყოფილი პერიოდის სიმცირე; არ არის ცნობილი, ჩატარდა თუ არა დეტალური ტყეთმომწეობა და შეითანხმა თუ არა ის სატყეო დეპარტამენტმა, ასევე ზუსტად აისახა თუ არა გეგმაში; ცხრილების დიდი ნაწილი არ იკითხება სამინისტროს გავრცელებულ ვარიანტში. ასევე ჩვენთვის უცნობია ლიცენზიანტის ტექნიკური დავალების შინაარსი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის N672 ბრძანების 16-ე მუხლი „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავების განსაკუთრებული მოთხოვნები“ ამბობს: „ტყით სარგებლობის გეგმა ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს, აგრეთვე ლიცენზიანტის მიერ მუშავდება მე-5 მუხლით დადგენილი ყველა მონაცემის გათვალისწინებით, დეტალური ტყეთმომწობის მასალებზე დაყრდნობით“. ამ ბრძანების მე-5 მუხლით განისაზღვრება ტყით სარგებლობის გეგმის შინაარსი, რომლის მიხედვითაც ტყით სარგებლობის გეგმა მოიცავს შემდეგ ნაწილებს (თავებს):

- ა) ზოგადი ნაწილი;
- ბ) ტყის ფონში მომხდარი ცვლილებები;
- გ) სარევიზიო პერიოდში დასამზადებელი ხე-ტყის მოცულობის (მათ შორის საანგარიშო ტყეკავის) განსაზღვრა;
- დ) სამონადირეო მეურნეობის, მოწყობა, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობისათვის გათვალისწინებული ტერიტორიების ნუსხა;
- ე) სამეწარმეო მიზნების განსახორციელებლად ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების, ტყის არამერქნული რესურსების დამზადების ოდენობა;
- ვ) სატყეო პლანტაციური მეურნეობების მოწყობა;
- ზ) ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები;
- თ) სატყეო ინფრასტრუქტურა;
- ი) ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

როგორც ვხედავთ, პროექტის შინაარსი არ შეესაბამება ამ მუხლს. ამიტომ დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი გეგმა არ შეესაბამება „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნებს. ამდენად, ის ან გადასამუშავებად უნდა დაუბრუნდეს აპლიკანს, ან ახლავე დადგეს საკითხი ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

## **2. "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის" მიერ წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნებზე ლიცენზიით (00628) გაცემული ტერიტორიის ტყითსარგებლობის პროექტი**

"ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის" მიერ წარმოდგენილი „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნებში მერქნითი გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ტყით სარგებლობის გეგმის“ პროექტი მოიცავს დაახლოებით 1/3-ით ნაკლებ ტყის ფართობს, ვიდრე შესაბამისი ლიცენზიით (00628) არის გაცემული. ეს სერიოზული ხარვეზია, რის გამოც, მიგვაჩნია, რომ შეუსრულებულია როგორც სალიცენზიო პირობები, ისე ტექნიკური დავალება.

დოკუმენტში ნახსენებია არაერთი ავტორის გვარი (რ. ქვაჩაკიძე, ა. გეგეჭკორი, მ. ჟორდანიას, გერჰარდი, მაიერი, შუბერი, ბიოლოგი, ანტანაიტასი და სხვ.), რომელთა ნაშრომებიც გამოყენებული იქნა, მაგრამ ციტირება არასრულყოფილია - არ არის ნახსენები, ამ ლიტერატურის სათაურები და წლები, არ არის თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალი, ტექსტში არ არის გაკეთებული ციტირებები. ეს გარკვეულწილად ართულებს წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსის აღქმას.

ზოგადი ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ შედარებით სრულად არის მოცემული. სავსებით ვეთანხმებით დასკვნას ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის უნიკალურობის შესახებ, რომელშიც ობიექტურად არის შეფასებული ტერიტორიის კონსერვაციული მნიშვნელობა. დოკუმენტში ნათქვამია: „გამოყოფილ იქნა განსაკუთრებული ფუნქციონალური დანიშნულების უბნები, რომელთაც აქვთ გარემოსდაცვითი, რეკრეაციული, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და სხვა დანიშნულება. მათი საერთო ფართობი შეადგენს 16132 ჰა-ს, რაც მთელი ტყეების 60.3 %-ს შეადგენს. მათგან აღსანიშნავია ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული, „წითელი ნუსხის“, რელიექტების, ენდემური მცენარეული სახეობებით მდიდარი ადგილები – მიგარიას კირქვული მასივი, მდინარე ხობის წყლის და მაგანას სათავეებში არსებულ ტყეებში. ისინი წარმოადგენენ ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების ადგილსამყოფელს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათზე დაცული ტერიტორიის შესაბამისი სტატუსის მინიჭება.“

სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ უფრო ზუსტად უნდა ყოფილიყო გეგმაში ასახული ის ინფორმაცია და ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას და ფიზიკურ დაცვას, კერძოდ:

- ჩამონათვალში დებულებით განსაზღვრული ცხრილი „საქართველოს “წითელი წიგნი“-თ და “წითელი ნუსხით” დაცული მცენარეები“ არ შეიცავს არც „მოკლე დახასიათებას“ და არც ბალახოვან მცენარეებს. არადა, ამ ტერიტორიაზე - დიდი კავკასიონის კირქვიანებზე, ბინადრობს არაერთი უნიკალური ვიწრო ენდემი;
- არ არის მოცემული დებულებით განსაზღვრული ცხრილი N12 საქართველოს “წითელი წიგნი“-თ და “წითელი ნუსხით” დაცული ცხოველები, სადაც სახეობების ჩამონათვალის გასწვრივ უნდა იყოს მათი მიგრაციის დერეფანი და შესაბამისი შენიშვნები;
- გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს მოცემული, თუ რომელი სატყეო კვარტლები იგულისხმება ზემოთ ციტირებულ 16132 ჰექტარ საკონსერვაციო ტყეებში და ასევე აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი თემატური რუკა.
- სამწუხაროდ არ არის წარმოდგენილი დებულებით განსაზღვრული ცხრილი „განსაკუთრებული ღირსების მქონე უბნების და დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებული უბნების ჩამონათვალი ფართობების მიხედვით“.
- ასევე არ არის მოცემული ტერიტორიის ზონირება MCPFE კლასების მიხედვით, რასაც მოითხოვს ტექნიკური დავალება.
- არასაკმარისადაა წარმოდგენილი ტყის დაცვის ღონისძიებები. მართალია, მოცემულია ტყის ფართობების დაყოფა სარეინჯერებად, მაგრამ არ არის განმარტებული, როგორ განახორციელებს ფიზიკურ დაცვას ლიცენზიის მფლობელი (აპირებს სპეციალური დაცვის სამსახურის დაქირავებას, სახელმწიფოს რეინჯერები დაიცავენ ტყეს უკანონო სარგებლობისგან თუ სხვა).

რეკომენდაციის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ უნდა აიკრძალოს სატყეო გზების გაყვანა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ტერიტორიების (მათ შორის სამიგრაციო გზების), მეწყერსაშიში ტერიტორიების გავლით/მიმართულებით, ხოლო თუ უკვე არსებობს ასეთი გზები, უნდა გაკეთდეს ხერგილები ან თუ დაცვა შეუძლებელია, სპეციალურად უნდა მოხდეს მათი დაზიანება. ასეთი სატყეო გზები წარმოადგენენ ტყეების დეგრადაციის მთავარ ფაქტორს. ასეთი ქმედება მხოლოდ წაადგება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას და მოწყვლადი გარემოს დაცვას, მით უმეტეს, გეგმაში ნათქვამია, რომ ტყის ხანძრების საშიშროება არ არსებობს.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხების სწორად დანახვის პარალელურად, გაუგებარია გეგმის ზოგ ადგილას (იხ. მაგალითად „ზოგადი ნაწილი“) წითელი ნუსხის სახეობებთან მიმართებაში ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა „დაბალი ღირსების ფაუტი და უვარგისი ხეები.“ მით უმეტეს, სხვა ადგილას სწორად არის განმარტებული, რომ გარკვეული სიხშირით ფაუტი ხეების შენარჩუნება მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.

ტექნიკური დავალების მიხედვით, რუკები უნდა შესრულებულიყო 1:25000, 1:50000 და 1:100000 მასშტაბით, გავრცელებულ დოკუმენტში კი მოცემულია რუკები 1:175000 მასშტაბით.

ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი გეგმა უნდა დაუბრუნდეს აპლიკანტს გადასამუშავებლად.

პატივისცემით,

ი. მაჭარაშვილი

ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი

გაგზავნილია:

01.02.09, სატყეო დეპარტამენტის მიერ მითითებულ, ელექტრონულ მისამართებზე  
[metreveli@moe.gov.ge](mailto:metreveli@moe.gov.ge) და [vasilchaladze@yahoo.com](mailto:vasilchaladze@yahoo.com);

02.02.09. № 04/05-96 წერლით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო  
დეპარტამენტზე